ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 223

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე- ქ.თბილისი, საირმის ქუჩა №37 (ს/კ. №01.10.14.024.036); ქ.თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004); ქ.თბილისი ი.აბაშიძის ქ.№55 (ს/კ. №01.14.11.024.012) მდებარე ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, ასევე მე-11 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, მე-12 პუნქტისა და შპს ,,ათორის“ (ს/ნ. 405077633) მიერ დაზარალებული პირების №19/032313545-03; №19/032313546-03; №19/032313729-03 განცხადებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიენიჭოს შემდეგ საკადასტრო ერთეულებს:

ა) ქ.თბილისი, საირმის ქუჩა №37 (ს/კ. №01.10.14.024.036)

ბ) ქ.თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004)

გ) ქ.თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012)

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე